# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 584

22 ნოემბერი
"___" _____ 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" (ს/ნ. 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის" №ე-427-1-22706 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/ნ. 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" (ს/ნ. 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის" №ე-427-1-22706 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/ნ. 439402843) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 6 ნოემბრის №24.1833.2070 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" (ს/ნ. 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის" №ე-427-1-22706 ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 1 630.00 ლარის ოდენობით) და ასევე, ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ხელშეკრულების 4.5 პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან (ყოველ

დარღვევაზე - 100 (ასი) ლარის ოდენობით) შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ. 439402843) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე